საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 12 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №55/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2019 წლის 21 მარტის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 4 ივნისის №55/19 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლის საპროცესო უმოქმედობა არღვევს შეჯიბრებითობის და დისპოზიციურობის პრინციპებს, უზღუდავს მხარეს სამართლიანი სასამართლოს ხელმისაწვდომობასა და დარღვეული უფლების აღდგენის შესაძლებლობას, უგულებელყოფს კანონმდებლობით დადგენილ გასაჩივრების უფლებას და სამართლებრივი არგუმენტაციის გარეშე უსპობს მხარეს გასაჩივრების უფლების რეალიზაციის შესაძლებლობას.

საჩივრის ავტორმა 2019 წლის 29 მაისს დამატებით წარმოადგინა განცხადება, სადაც მიუთითებს, რომ მოსამართლეს წინასწარ ჰქონდა მომზადებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. კერძოდ, საპაექრო სიტყვის და რეპლიკის შემდგომ, რამდენიმე წამში ადგილზევე გამოაცხადა წინასწარ, ფურცელზე დაწერილი შედეგი, რომელიც ნათლად ჩანს ვიდეოჩანაწერში.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- 2018 წლის 8 ოქტომბერს სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხე - -- -- მიმართ ხელშეკრულების ბათილად ცნობის, ზიანის ანაზღაურების, უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნით. 2018 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით -- -- განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა; სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ყადაღა დაედო მოპასუხე -- -- კუთვნილ უძრავ ნივთებს.

2018 წლის 5 ნოემბერს მოპასუხემ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი. 2018 წლის 9 ნოემბრის განჩინებით დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა 2018 წლის 12 დეკემბერს. 2018 წლის 11 დეკემბერს

მოპასუხემ სასამართლოში წარადგინა დაზუსტებული შესაგებელი. 2018 წლის 13 დეკემბერს მოსარჩელემ სასამართლოში წარადგინა დაზუსტებული სარჩელი. სასამართლო სხდომები გაიმართა 12.12.2018; 21.01.2019; 15.02.2019; 06.03.2019; 22.03.2019; 10.04.2019 წწ პერიოდებში.

2019 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი -- -- მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; -- -- საკუთრებაში დაუბრუნდა უძრავი ქონება, მდებარე -- --; ბათილად იქნა ცნობილი -- -- და -- -- შორის 2016 წლის 18 თებერვალს დადებული იჯარის ხელშკერულება და იჯარის ხელშეკრულების დანართი -- -- მდებარე უძრავი ქონების იჯარით გადაცემის ნაწილში; ბათილად იქნა ცნობილი -- -- და -- -- შორის 2015 წლის 24 დეკემბერს დადებული საკრედიტო ხელშეკრულება 73,528 აშშ დოლარის გაცემის ნაწილში; დანარჩენ ნაწილში -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2019 წლის 21 იანვრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა, მოპასუხე -- -- შუამდგომლობა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. 2019 წლის 14 თებერვალს -- -- შეგებებული სარჩელი წარადგინა სასამართლოში -- -- წინააღმდეგ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობის დადგენის მოთხოვნით. 2019 წლის 15 თებერვლის განჩინებით -- -- უარი ეთქვა შეგებებული სარჩელის მიღებაზე. 2019 წლის 28 თებერვალს -- -- კერძო საჩივარი წარადგინა სასამართლოში 2019 წლის 15 თებერვლის განჩინებაზე. 2019 წლის 11 აპრილს -- -- განცხადებით მიმართა სასამართლოს მიღებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ჩაბარებით მოთხოვნით.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 4 ივნისის დასკვნა:

-- -- 2019 წლის 21 მარტის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამარ-თლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება - „ქმედება, რომელიც არღვევს დამოუკიდებლობის პრინციპს, კერძოდ, მოსამართლის მიერ სასამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით.“

ბანგალორის პრინციპების პირველი ღირებულების მიხედვით სასამართლოს დამოუკიდებლობა არის კანონის უზენაესობის უზრუნველყოფის წინაპირობა და სამართლიანი სასამართლო განხილვის ძირითადი გარანტია. ბანგალორის პრინციპების 1.1 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა განახორციელოს თავისი სამოსამართლო ფუნქცია დამოუკიდებლად, მხოლოდ ფაქტების შეფასების საფუძველზე, სამართლის შეგნებული გაცნობიერების შესატყვისად და ყოველგვარი გარეშე ზემოქმედების, წაქეზების, იძულების, მუქარის ან პირდაპირი თუ ირიბი ჩარევის გარეშე, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს ის და რა მიზანსაც არ უნდა ემსახურებოდეს; ამავე პრინციპის 1.2. მუხლის თანახმად მოსამართლეს დამოუკიდებელი პოზიცია უკავია მთლიანად საზოგადოებისა და იმ სასამართლო საქმის კონკრეტული მხარეების მიმართ, რომელზეც გადაწყვეტილება გამოაქვს; ხოლო 1.6 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა გამოავლინოს და წაახალისოს მოსამართლეთა ქცევის მაღალი სტანდარტები, სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობის ამაღლების მიზნით, რაც უმნიშვნელოვანესია სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელშეწყობისთვის.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნაში აღნიშნულია, რომ სამოსამართლო დავების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია

ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს (§8).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1985 წელს შემუშავებული დოკუმენტის „სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების“ მე-2 მუხლი ითვალისწინებს შემდეგ პირობას: „სასამართლომ მის წინაშე წარდგენილი საქმეები უნდა გადაწყვიტოს მიუკერძოებლად, ფაქტებზე დაყრდნობით და კანონის შესაბამისად, ნებისმიერი მხრიდან და ნებისმიერი მიზნით ყოველგვარი შეზღუდვის, შეუსაბამო ზეგავლენის, იძულების, ზეწოლის, დაშინების ან პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევის გარეშე“. მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლეები „ყოველთვის უნდა იქცეოდნენ იმგვარად, რომ შეინარჩუნონ დაკავებული თანამდებობის ღირსება და სასამართლო სისტემის მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა.“

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობა გულისხმობს არა მარტო სამართალწარმოების დაწყების უფლებას, არამედ, საქმის გადაწყვეტის უფლებასა და საბოლოო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად განცხადების მიღებასა და საქმის განხილვაზე უარის თქმა სასამართლოს შეუძლია მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი საფუძვლებითა და წესით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივარი საქმესთან ერთად გადაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს. ამავე კოდექსის 418-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კერძო საჩივრის შეტანა არ შეაჩერებს იმ საპროცესო მოქმედების შესრულებას, რომელიც სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით იყო გათვალისწინებული.

მოსამართლეებმა თავიანითი ფუნქციები უნდა განახორციელონ გულდასმით და გონივრულ ვადებში. სასამართლომ აქტიური როლი უნდა შეასრულოს სამართალწარმოების დროულად განხორციელებაში და იმავდროულად პატივი უნდა სცეს მხარეების უფლებებს. მხარეებს უფლება აქვთ მათი სარჩელი გონივრულ ვადაში იყოს განხილული სამართლიანი სასამართლოს მიერ. მოცემულ შემთხვევაში, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით არ არის განსაზღვრული ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში კერძო საჩივრის გაგზავნის ვადები, მოსამართლის მიერ კერძო საჩივრის გაგზავნა საქმის განხილვის დასრულების შემდგომ წარმოადგენს სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების მიზანს, რათა თავიდან იქნეს აცილებული საქმის განხილვის შესაძლო გაჭიანურება და უზრუნველყოფილი იყოს პროცესის მონაწილე მხარეთა ინტერესების დაცვა. შესაბამისად, განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოებები ვერ ასაბუთებს მოსამართლის მიკერძოების და მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების ფაქტებს.

რაც შეეხება, საჩივრის ავტორის მიერ დამატებით წარმოდგენილ განცხადებას, რომ მოსამართლემ საპაექრო სიტყვის და რეპლიკის შემდგომ, რამდენიმე წამში ადგილზევე გამოაცხადა ფურცელზე დაწერილი შედეგი, უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საქმის ზეპირი განხილვის შემდეგ ცხადდება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. მოსამართლე უფლებამოსილია, სათათბირო ოთახში გაუსვლელად გამოაცხადოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი.

ასევე აღსანიშნავია, რომ პაექრობა შემაჯამებელი სიტყვაა, სადაც მხარეს შეუძლია საბოლოოდ ჩამოაყალიბოს რომელი გარემოებები დადასტურდა მტკიცებულებების მეშვეობით და რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული საქმის გადაწყვეტის დროს, ხოლო, რეპლიკა უფლებაა რომლითაც შეუძლიათ ისარგებლონ მხარეებს და გამოვიდნენ ხელმეორედ პაექრობაში მონაწილე პირებისთვის პასუხის გასაცემად. ამასთან, მხარეთა პაექრობამდე და რეპლიკამდე მოსამართლეს გამოკვლეული აქვს მტკიცებულებები, დადგენილი აქვს გარემოებები, მოსმენილი აქვს მხარეთა ახსნა-განმარტება და შესაბამისად, ჩამოყალიბებული აქვს პოზიცია, შინაგანი რწმენა საქმესთან დაკავშირებით, რაც ვერ შეფასდება როგორც დისციპლინური გადაცდომა.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 14 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №55/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი